ახალი ხარაგაული

403 (11) 2 აგვისტო, 2019 წ.

იმერეთის გუბერნატორად ზვიად შალამბერიძე დაინიშნა

იმერეთს ახალი გუბერნატორი ჰყავს. სახელმწიფო რწმუნებულის პოსტზე ზვიად შალამბერიძის კანდიდატურა შეირჩა. შალამბერიძე მიმდინარე წლის მარტში სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილედ დაინიშნა. მაისის შემდეგ კი, როცა თანამდებობა შავლეგო ტაბატაძემ დატოვა, რწმუნებულის მოვალეობას ასრულებდა.

ზვიად შალამბერიძე 2001-2004 წლებში გაეროს განვითარების პროგრამაში მუშაობდა, შემდეგ კი - კერძო სექტორში, მათ შორის, სადაზღვევო კომპანიებში – „ჯი პი აი ჰოლდინგი“ და „ირაო“. 2015-2019 წლებში შპს „ფრეგოს“ დასავლეთ საქართველოს რეგიონული მენეჯერი იყო.

ლაშისა და კიცხის გაზიფიცირება დაიწყო

მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ორი სოფელი გაზიფიცირდება. კიცხსა და ლაშეში კომპანიამ უკვე დაასაწყოება მილები, რითაც აღნიშნული სოფლების ბუნებრივი აირით უზრუნველსაყოფად მაგისტრალის მშენებლობა უნდა დაიწყოს.

სამუშაოების დასრულების შემდეგ ხარაგაულში კიდევ 621 აბონენტი გაზიფიცირდება. პროექტს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია ახორციელებს.

ამ დროისთვის ბუნებრივი აირით მუნიციპალიტეტის ხუთი სოფელი - ჩხერი, ბაზალეთი, ჯაფაროული, თეთრაწყარო და ისლარი - სარგებლობს.

ლეღვანში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება

საქართველოს მთავრობის №1635 განკარგულებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს სტიქიით დაზიანებული ობიექტების სარეაბილიტაციოდ, პირველ ეტაპზე, 270 ათასი ლარი გამოეყო. ხარაგაულის მერიამ თანხის მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ გამოაცხადა ტენდერი ლეღვნის გზის რეაბილიტაციის მიზნით. პროექტის სატენდერო ღირებულება 159 370 ლარია, რომლის ფარგლებში აღდგება გზის დაზიანებული საფარი და მდინარე ლეღვნულას ნაპირზე, საჭიროების ადგილებზე, მოეწყობა გაბიონები. აქვე გაცნობებთ, რომ 7-12-16 ივნისის სტიქიით დაზიანებული სხვა ინფრასტრუქტურის, ხიდების, ხიდ - ბოგირებისა და გზების აღსადგენად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით(120 000 ლარი) საპროექტო სამუშაოებზე ტენდერი უკვე გამოცხადებულია, წინადადებების მიღება 26 ივლისს დასრულდა.

ამ დროისთვის სოფელ ლეღვანში შეგიძლიათ გადაადგილდეთ შემოვლითი გზით, რომელიც ცენტრალური გზის გასწვრივ, მდინარის ნაპირზე, 500 მეტრის სიგრძეზეა მოწყობილი.

ხევი-უბისის ავტობანის მშენებლობაზე ადგილობრივები დასაქმდებიან

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორითში, რიკოთის საუღელტეხილო გზის ხევი-უბისის მონაკვეთის მშენებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მიზნით შეხვედრა ჩატარდა.

ღონისძიების ფარგლებში, მოსახლეობას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის, ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლებისა და მშენებელი კომპანიის „Hunan Road and Bridge Construction Group -ის“ წარმომადგენლები შეხვდნენ.

ადგილობრივებს საშუალება ჰქონდათ, ხევი-უბისის პროექტსა და მშენებლობის პირველ ეტაპზე წარმოდგენილ ვაკანტურ მიმართულებებს გაცნობოდნენ. ეს მიმართულებებია: მიწაზე მომუშავე პერსონალი, ოპერატორები, ლითონზე მომუშავე პერსონალი, ბეტონსა და ხის მასალაზე მომუშავე პერსონალი, შემდუღებლები, ელექტრიკოსები, გეოდეზისტები, არმატურის მქსოველები, მექანიკოსები, დამხმარე მუშები და ბეტონის ქარხნის ოპერატორი.

კომპანიას აღნიშნულ მონაკვეთზე 1000-ზე მეტი მუშახელი სჭირდება.

დასაქმების მსურველებმა შეგიძლიათ, მიმართოთ სოფელ ბორითში მდებარე კომპანიის მთავარ ოფისს, ან დარეკოთ საკონტაქტო პირთან - გიზო კიკვაძე, ტელ: 593 31 76 18.

ამ ეტაპზე ხევი-უბისის მონაკვეთზე სამობილიზაციო და მოსამზადებელი სამუშაოები - სამშენებლო მოედნის გასუფთავება, ნაყოფიერი ფენის მოხსნა, ბანაკებისა და ქარხნების მოწყობის სამუშაოები და ნარჩენების განსათავსებელი ადგილის შერჩევა - მიმდინარეობს.

პროექტი ხევი-უბისის 12,2 კმ-იან მონაკვეთზე ოთხზოლიანი გზის მშენებლობას ითვალისწინებს. იგეგმება 35 ახალი ხიდისა და 18 გვირაბის მშენებლობა, რომელსაც აზიის განვითარების ბანკი (ADB) აფინანსებს. ღირებულება 732 296 478 ლარია და სამუშაოების განხორციელების ვადა - 3 წელი.

დაბის N1 საბავშვო ბაღი გაზიფიცირდება

ხარაგაულის პირველ საბავშვო ბაღში ცენტრალური გათბობა დამონტაჟდება. როგორც ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორი მამუკა ჭიპაშვილი აღნიშნავს, სამუშაოების განხორციელების მიზნით ტენდერში გამარჯვებული კომპანია უკვე გამოვლინდა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად, შპს „რიგი 55-მა“ სამუშაოები ერთი თვის განმავლობაში უნდა შეასრულოს. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისი ღირებულება დღგ-ს გარეშე 38 155 ლარია.

აღსანიშნავია, რომ 2019-2020 სასწავლო წლის ზამთარს ხარაგაულის პირველი საბავშვო ბაღი ცენტრალური გათბობის ახალი სისტემით შეხვდება.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები ხარაბაულის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში წყალაფორეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ პატარა ვარძიასა და ლახუნდარაში, კავილაძეებისა და ეკლესიის უბანში წყლის ჭაბურღილების მოწყობა დაიწყო. საერთო ჯამში სამუშაოების დასრულების შემდეგ 130-მდე ოჯახი მიიღებს სასმელ წყალს.

ხარაგაულის მერი ნიკოლოზ თოფურიძე სოფლის პროექტებით დაწყებულ სამუშაოებს ადგილზე გაეცნო და ჭაბურღილების მომსახურებისა და მოსახლეობისთვის წყლით უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია მოისმინა. სამ ლოკაციაზე ჭაბურღილის მოწყობა

მოსახლეობამ თავად აირჩია. წყლის რეზერვუარების შეძენა და მილების გაყვანა ოჯახებამდე ადგილობრივების თანადაფინანსებით განხორციელდება.

გარდა ამისა, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში პროექტები აქტიურ ფაზაშია მოლითის ადმინისტრაციულ ერთეულში. ბაბში, ანიულაში, დეისსა და ბეჟათუბანში საუბნო გზების კეთილმოწყობა მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში ამორტიზებული საუბნო გზების მოხრეშვა-გასწორება მოხდება.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებების გაფორმება მეწარმეებთან ეტაპობრივად მიმდინარეობს და სამუშაოები ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ინტენსიურად განხორციელდება.

საერთო ჯამში მიმდინარე წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ხარაგაულში 860 000 ლარი დაიხარჯება და 192 პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული პროგრამა მიმდინარე წელს აღდგა და პროექტების უმრავლესობა წყლის სისტემებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ასევე გარე განათების ქსელის მოწყობასა და წისქვილების რეაბილიტაციას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობამ წინასწარ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები სოფლის კრებებზე განიხილა და პრიორიტეტული საკითხები თავად აირჩია.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ხარაგაულის მერი ხიდრის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდრის ჯორტების უბნის გზის 1 000 -მეტრიან მონაკვეთს მიმდინარე წელს კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდება.

პირველ ეტაპზე განხორციელდა აღნიშნული მონაკვეთის გაფართოება, მოხრეშვა-მოსწორება. ბეტონის საფარის დაგებას კი კომპანია უახლოეს დღეებში დაიწყებს.

ხარაგაულის მერი ნიკოლოზ თოფურიძე მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნო და ადგილობრივ მოსახლეობას გაესაუბრა.

ხიდარში ჯორტების უბნის გზის რეაბილიტაციას შპს „გურია - 2015“ ასრულებს, რომელმაც ტენდერი 153 471 ლარად მოიგო.

სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების ფარგლებში მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში სოფელ ხიდარში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

2014 წელს აშენდა საბავშვო ბაღის ახალი შენობა, რომელიც 25 აღსაზრდელზეა გათვლილი, 2015 წელს მოასფალტდა სოფლის ცენტრალური გზის 5კმ-იანი მონაკვეთი, ამავე წელს სოფლის პროექტებით აშენდა ახალი სარიტუალო სახლი, 2017 წელს ბეტონის საფარი დაიგო სოფლის სასაფლაომდე და სკოლამდე მისასვლელ გზებზე, 2018 წელს აშენდა და კეთილმოეწყო დაწყებითი განათლების, თანამედროვე სტანდარტებს მისადაგებული, სკოლის შენობა. წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, შესრულდება სარიტუალო სახლის კეთილმოწყობა და მოხდება შენობის ინვენტარით უზრუნველყოფა.

ვარძიაში უფასო სამედიცინო აქცია ჩატარდა

„ბომონდი“ შენი ჯანმრთელობისთვის“ - აღნიშნული სლოგანით ქუთაისში არსებულმა კლინიკა „ბომონდმა “ იმერეთის რეგიონის მოსახლეობისთვის უფასო სამედიცინო აქცია დაიწყო. აქციის ფარგლებში 26 ივლისს სამედიცინო გამოკვლევები ვარძიის მოსახლეობისათვის ჩატარდა. პროექტი იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის მხარდაჭერით განხორციელდა.

მთელი დღის განმავლობაში ადგილობრივებს შესაძლებლობა ჰქონდათ, 12 სხვადასხვა პროფილის ექიმის (დერმატოვენეროლოგი, მეან-გინეკოლოგი, ზოგადი ქირურგი, თერაპევტი, ენდოკრინოლოგი, ოფთალმოლოგი, ექოსკოპისტი, პედიატრი, კარდიოლოგი, ნევროლოგი, უროლოგი, ბავშვთა ქირურგი) მომსახურება მიეღოთ. პაციენტთა მომართვიანობა საკმაოდ აქტიური იყო. გარდა ამისა, შედგა სია ოფთალმოლოგიური გამოკვლევებისთვის, რომელიც აღნიშნული სოფლის მოსახლეობას კლინიკაში, ადგილზე ჩაუტარდება. ტრანსპორტი მათ უფასოდ მოემსახურება.

იხარეთ, ცუგრუმელებო!

ქართული საბავშვო ლიტერატურის ფასდაუდებელ საგანძურს ამ ცოტა ხნის წინ შეემატა პატარა უმშვენიერესი კრებული „იხარეთ, ცუგრუმელებო!“ წიგნის ავტორია აწ უკვე მარადისობის მკვიდრი ომო პაპა - ომარ გორგაძე (გამომცემლობა „ივერიონი,“ თბილისი, 2019 წ. გვ.36) რედაქტორი ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დამაარსებელი, რეჟისორი და ხელმძღვანელი იზა ვეფხვაძე.

* * *

ათეული წლების წინ ხარაგაულის ქუჩებში ლაღად დააბიჯებდა ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარულით გულსავსე ერთი კარგი ქართველი ვაჟკაცი ომარ გორგაძე.

ომარის ქალიშვილები ნათია და თეა გორგაძეები ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის წარმატებული მოსწავლეები იყვნენ. ამჯერად ძალიან გამახარა ნათიასთან შეხვედრამ, როცა მან სიამოვნებით მოიგონა ის ლიტერატურული საღამო, რომელიც აწ განსვენებულ ია ოყროშიძისა და ჩემი ორგანიზებით მოეწყო სკოლაში. მაშინ ნათიამ შესანიშნავად წაიკითხა ზეპირად იოსებ ნონეშვილის „ლეგენდის დაბადება“ („ღმერთი და ხელები“). სტუმრად მყოფმა ნათიამ ამჯერადაც პატარა ხარაგაულის რვაბინიანი სახლის თავშეყრილ მეზობლებთან კვლავ ძველებური განცდით წაიკითხა აღნიშნული ლექსი და ყველა დიდ სიამოვნებას გვაზიარა...

ეჰ, რა ადრე დაგვტოვე და მარადიულად დარჩი, ომარ!..

ამ სიტყვებით იწყება შესავალი წიგნისა, რომლითაც რედაქტორი თავისი მადლიანი ქართულით სინანულით კვეთს იმ ხანმოკლე ყოფას, რომელიც ომარ გორგაძისათვის გამოიმეტა არსთაგამრიგემ. ამის მიუხედავად, ომარმა შეძლო საკუთარი ლამაზი ხელწერა დაეტოვებინა თავისი სამკვიდრო ხარაგაულისა და სრულიად საქართველოს საზოგადოებისათვის.

„მარადიულ სახედ შემორჩა ხარაგაულელთა მეხსიერებას ნათელი და ნიჭიერი კაცის - ომარ გორგაძის - ხსოვნა. ბატონი ომარი ისეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც უშფოთველად ვერ მიჰყვებიან წუთისოფლის დინებას...

მას ერთნაირად უჭრიდა გონებაცა და კალამიც, ამიტომაც მუდამ ცხოვრების დინამიკაში იყო...

დიახ, მრავალმხრივი პიროვნება გახლდათ ომარ გორგაძე: დიდებული ორატორი, შესანიშნავი მოკალმე, საუკეთესო ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, ამასთან, საოცრად ყურადღებიანი და შორსმჭვრეტელი, ზედმეტად აკურატულიც კი... სწორედ ეს თვისებები გახლდათ მიზეზი იმისა, რომ მუდამ წამყვანი პოზიციები ეჭირა ხარაგაულის რაიონის და, არამარტო რაიონის, სახელისუფლებო სტრუქტურებში.

საპასუხისმგებლო თანამდებობებისა და ლექსების ერთმანეთთან შეზავება არცთუ იოლი საქმე გახლდათ იმ დროში - ტრიბუნიდან ის თავის მსმენელს პოეზიაზე ვერ ესაუბრებოდა, უფრო ყოფით პრობლემებზე ზრუნვა უწევდა, არადა სულსა და გულს პოეზიის ჭია უღრღნიდა!

ხარაგაულში ყველამ იცოდა, რომ ომარი ახალგაზრდობიდან ულამაზეს ლექსებს წერდა, ზეპირადაც კი იცოდნენ მისი ლექსები. ცხოვრების ყოველ წვრილმანს პოეტურად, ემოციურად განიცდიდა... ჰოდა, დაგროვდა, დაგროვდა ეს ემოციაშეპარული ფურცლები - შვილიშვილმა კიდევ მეტად გაამძაფრ - გააღვივა ნაკვერჩხალი და საბავშვო ლექსების მთელი სერიაც შეიქმნა...

მოგეხსენებათ, პოეზიას ვიწრო კალაპოტი აქვს, წყალუხვობას ვერ უძლებს, სწრაფად ივსება და გადმოედინება. ომარ გორგაძის კალაპოტმაც იხუვლა და აივსო ზვირთებით. როცა მკითხველმა მისი ლექსების პირველი კრებული მიიღო, ხელიდან ხელში გადადიოდა ის მშვენიერი წიგნი - მკითხველებმაც კიდევ მეტად შეიყვარეს იგი ფაქიზი სულისა და ემოციის გამო...

საბავშვო ლექსებს შვილიშვილებისათვის ინახავდა, არადა, სხვის შვილიშვილებსაც ეფერებოდა ამ ლექსებით - ლამაზ და საოცნებო, ჯადოსნურ სამყაროს უხატავდა პატარებს.

მიხარია, რომ გარდაცვალებიდან კარგა ხნის შემდეგ, მკითხველი ომარ გორგაძეს საბავშვო პოეტადაც გაიცნობს და მის ლამაზ ისტორიას კიდევ ერთი ნათელი ფურცელი შეემატება!

ცხოვრების რთულ გზაზე ბევრი ლაბირინთი გაიკვლია, განსაცდელის ჟამს სულს პოეზიით იგრილებდა, ამიტომაც ღირსეულად გაუძლო წუთისოფლის აღმა - დაღმა დინებას, პოეტური ფერებით შეაზავა თავისი სიცოცხლე და, მიუხედავად ხმაურიანი და მზის გულზე გამოტანილი ცხოვრებისა, ჭეშმარიტი კაცის სახელი დატოვა.

ომარ გორგაძე ძალიან უხდება ხარაგაულის მატიანეს...

მჯერა, ამ წიგნის გამოცემის შემდეგ, ხარაგაულელი მკითხველი სინანულით იტყვის: ეჰ, რა ადრე დაგვტოვე და მარადიულად დარჩი, ომარ!..

ცხოვრებაც ხომ სხვა არაფერია... მოხვალ და წახვალ, ამ ორ მოვლენას შორის კი ცოტანი ახერხებენ მარადიული ხნულის გავლებას...“

* * *

29 ლექსი, სიხარულის 29 ტალღა ძალუმად შეარხევს პატარა მკითხველთა გულის სიმებს და კიდევ უფრო ახლობელს გახდის იმ ჯადოსნურ სამყაროს, რასაც ბავშვობა და ულამაზესი სამკვიდრო - საქართველო ჰქვია...

-ვუძღვნი ანის, ნიას და ყველა პატარას, რომლებიც ჯერ არ გასულან ბავშვობის ასაკიდან - ვკითხულობთ ადრე წასული პოეტის სიტყვებს წიგნის თავფურცელზე.

წიგნის გაცნობის შემდეგ შემიძლია განვაცხადო, რომ ბავშვობის ასაკიდან უკვე დიდი ხნის წინათ გასულთაც არ დატოვებს სიხარულის უნაწილოდ ეს პატარა კრებული, რომლის ავტორიც ძალიან ლამაზი ფუნჯითა და გამორჩეული ფერებით ბუნებრივად ხატავს ცუგრუმელების დაუდეგარ ბუნებას, მათს ურთიერთობას ახლობლებთან და, ზოგადად, იმ გარემოსთან, რომელშიც ყალიბდება მათი სამომავლო ხედვა.

აი, პატარა ნიკას უკვირს, მზეს ცხრათვალას რომ ეძახიან, ნეტავ ვინ შეძლო მისი თვალების დათვლა? მისი კაშკაშა სხივებისათვის თვალის გასწორება? ხოლო ნიაც ვერ ფარავს გაკვირვებას - წიწილა და ბატის ჭუკი მუდამ ერთად თამაშობენ, ერთად იძინებენ.... ნეტავ როდის შეძლო ბატის ჭუკმა ცურვის სწავლა?

„რა ეშმაკი ემართებათ,
როცა წყალი შემოხვდებათ,
აფოფრილი ბატის ჭუკი
წამსვე შიგ რომ გადახტება.
წიწილა კი წყლის ნაპირზე
წივწივებს და თვალებს წკურავს,
მუდამ ერთად იზრდებიან,
სად ისწავლა ბატმა ცურვა?!“

მაშ ასე, პატარა მკითხველო, მინდა, ამ საგაზეთო წერილით გზა დავულოცო თქვენი გულებისაკენ მწვანე ველზე გვირილებით მოჩითულ ამ პატარა წიგნს, რომ კიდევ უფრო გაგიძლიერდეთ სიყვარული მამულისადმი, ახლობლებისადმი, სწრაფვა კარგი სწავლისა და ყოფაქცევისადმი, რათა ღირსეულ თაობად აღეზარდოთ ჩვენს საფიცარ დედა -სამშობლოს, სულზე უტკბეს საქართველოს!

მერი გიორგიძე

იქ ცეკვა მიდიოდა!.. მანქა მიდიოდა!..

(ხარაგაულის სახალხო თეატრი ლატვიაში, ლიმბაჟის ფესტივალზე)

ეს უმშვენიერესი სიტყვები (ქართულად: მე შენ მიყვარხარ! ჩემო საყვარელო!) სპექტაკლ „ორნის“ დასასრულს გაისმა ლიმბაჟის თეატრის სცენიდან ლატვიელთა მშობლიურ ენაზე, რასაც მაყურებელთა მქუხარე აპლოდისმენტები, დიდი ემოცია და სამადლობელი შეძახილები მოჰყვა...

10 - 17 ივლისს ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი მიწვეულ იყო ლატვიაში ლიმბაჟის თეატრალურ ფესტივალზე. ხარაგაულის დასი უკვე მეოთხედ სტუმრობდა ამ უმშვენიერეს ქალაქს და ამჯერად მაყურებელს წარუდგინეს სპექტაკლი „ორნი“ (რეჟისორი ირინე ჩხეიძე).

საჭიროდ მივიჩნევ, ჩვენს მკითხველს მცირე რამ შევახსენო სპექტაკლის შესახებ. უპირველესად, რეჟისორმა სწორი არჩევანი გააკეთა, როცა წინა პლანზე წამოსწია ოჯახის პრობლემა თანამედროვე დრამატურგის მაკა კუკულავას ერთმოქმედებიანი ფსიქოლოგიური დრამით „ორნი.“ დასანგრევად განწირულ სანდროსა და ანას ოცდაათწლიან ოჯახს სიყვარულის ღვთიური ძალა გადაარჩენს. სპექტაკლის ოპტიმისტური იდეა - ოჯახის სიმტკიცე - ნიჭიერი რეჟისორული ხედვითაა განსაზღვრული. „მოგონებანი გარდასულ დღეთა“ ძლიერი ძალით ავლენს, თუ როგორი მტკიცე საყრდენი ჰქონდა სანდროსა და ანას ურთიერთობას, როცა ერთ ჭერქვეშ დაბინადრდნენ და ლამაზი ოჯახი შექმნეს. საბოლოოდ სწორედ ამ ძალამ იხსნა დასანგრევად განწირული ოჯახი - მძლეთამძლეა ჭეშმარიტი სიყვარული, მასთან დაპირისპირებული ყველა პრობლემა მინავლდება, უკან იხევს, ქრება...

გვახსოვს, როგორი აღტაცებით მიიღო აღნიშნული სპექტაკლი ხარაგაულის მაღალგემოვნებიანმა მაყურებელმა.

* * *

ლიმბაჟში მიწვევისთანავე რეჟისორმა ირინე ჩხეიძემ გადაწყვიტა, ფესტივალზე სწორედ აღნიშნული სპექტაკლით წარედგინა დასი. წინასწარ ინტერნეტით გადაიგზავნა მასპინძელთა ენაზე ნათარგმნი სპექტაკლის შინაარსი.

... და 10 ივლისს ქუთაისის აეროპორტიდან თვითმფრინავმა კურსი ბალტიისპირეთისაკენ, რიგისაკენ აიღო. ირინე ჩხეიძეს, ლია ჭიპაშვილს, ვასილ კიკნაძეს, გიორგი ჭიპაშვილსა და დათო კვირიკაშვილს უნდა დაეცვათ ფესტივალზე ხარაგაულის საზოგადოებისა და უშუალოდ ხარაგაულის სახალხო თეატრის ღირსება. თუ როგორი იყო ექვსდღიანი სტუმრობა ლიმბაჟელებთან, სრულყოფილად მისი დასურათება შეუძლებელია. თუმც რეჟისორ ირინე ჩხეიძესა და მსახიობ ლია ჭიპაშვილთან საუბრით მაინც წარმოიდგენს მკითხველი, თუ რა ემოციებითა და წარმატებებით იყო დატვირთული ეს მართლაც ზღაპრული დღეები...

ირინე ჩხეიძე - მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი, ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის რეჟისორი:

-ძნელია, სიტყვები მოვიძიო იმ უკიდეგანო სითბო - სიყვარულის გადმოსაცემად, რაც ჩვენმა მასპინძლებმა გვიჩვენეს. ხარაგაულის თეატრი უკვე მეოთხედ ეწვია ლიმბაჟს. ვფიქრობ, ქართველს არ უნდა გაუკვირდეს სტუმარმასპინძლობის გამოვლინება, მაგრამ მასპინძელთა მიერ ჩვენდამი დამოკიდებულებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა...

ხაზი მინდა გავუსვა მათს უსაზღვრო პატრიოტიზმს, რომელიც იგრძნობა ყველგან და ყველაფერში. ისინი მარტოოდენ პათეტიკურად ამაღლებული ლამაზი სიტყვებით როდი გამოხატავენ თავიანთი სამკვიდროს სიყვარულს. ამ გრძნობას საქმით აძლიერებენ, თავდადებული შრომით ასაბუთებენ, რაც ნათლად ჩანს რეალობაში: იდეალური სისუფთავე, წესრიგი, ქალაქისა და მთლიანად გარემოს გაფრთხილება. ტყე რომ ტყეა, ასე მგონია, მასაც მუდამ მზრუნველი ხელი დაჰფუსფუსებს. იდეალური ბილიკებია გაყვანილი და ერთ ხმელ ტოტსაც ვერ ნახავთ ზედმეტს. კოცონების დასანთებადაც კი სპეციალურ თუნუქისფურცლიან ნაკეთობას იყენებენ, ადგილი რომ არ დააზიანონ.

ქალაქში გრანდიოზული სპორტული კომპლექსი მოენყო. ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიამაყითა და მზრუნველობით საუბრობენ, რომ ამ უზარმაზარი შენობის აგება ისე მოხერხდა, მიმდებარედ ერთი ხეც არ მოჭრილა...

ორი წლის წინ ვიყავით ლიმბაჟში და გამაოცა იმ სასიკეთო ცვლილებამ, რაც ამ მოკლე დროში ეტყობა ქალაქსაც და სოფელსაც... ვნატრობ, რომ ასეთმა წინსვლა - წარმატებამ და ადამიანთა კეთილდღეობამ მოიცვას ჩემი ქვეყანაც...

ამჯერად ჩვენთვის უმთავრესი იყო წარმატება ფესტივალზე. ნამდვილად აღფრთოვანებული დავრჩი ჩვენი თეატრის მსახიობების პროფესიონალიზმით. ამის დასტური იყო, რომ სპექტაკლის მიმდინარეობის ყოველ მონაკვეთში ვგრძნობდით მაყურებელთა აღტაცებას, მათს მოზღვავებულ ემოციას...

ჩვენი სპექტაკლით დაიხურა ფესტივალი. სხვა ქვეყნებიდან სტუმრები და ფესტივალის მონაწილენი სპეციალურად დარჩნენ, რომ ხარაგაულელთა სპექტაკლი ენახათ. სპექტაკლის ფინალმა და მშობლიურ ენაზე წარმოთქმულმა ბოლო ფრაზებმა ხომ ნამდვილი ფურორი მოახდინა...

იგივე განმეორდა, როცა სპექტაკლის შემდეგ „სულიკო“ და „თბილისო“ შევასრულეთ. ბოლო აკორდი კი იყო მათს მშობლიურ ენაზე შესრულებული სიმღერა „პუტ ვეინ.“

სამომავლოდ, 2020 წლის მარტში, მიწვეული ვართ ლიეტუვაში (ლიტვა) თეატრის იუბილეზე.

დასის სახელით მინდა, მადლობა გადავუხადო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერსა და ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელთა დიდი თანადგომით შევძელით ფესტივალში მონაწილეობა.

ლია ჭიპაშვილი - მსახიობი, ახალგაზრდა ანას როლის შემსრულებელი:

- ლიმბაჟის ფესტივალში უკვე მეორედ ვმონაწილეობდი. ორი წლის წინ ნატალიას როლი შევასრულე დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირში“ (რეჟისორი ირინე ჩხეიძე).

მაშინ მიღებული ძლიერი შთაბეჭდილება ჯერაც არ გამნელებია და კვლავ ახალი, ძლიერი პოზიტიური შთაბეჭდილებების ტყვეობაში აღმოვჩნდი. როცა რიგის აეროპორტში ჩავფრინდით, დაგვხვდნენ ლიმბაჟელი კოლეგები, რომელთაც უსაზღვრო სიხარული ეხატებოდათ სახეზე, ხელში ეჭირათ ტრანსპარანტები ქართული წარწერით - ხარაგაულის თეატრი!

ძალზე ორიგინალური იყო ფესტივალის გახსნის მართლაც ეგზოტიკური სურათი. ფესტივალი მასპინძლებმა გახსნეს ღია ცის ქვეშ, ტყის სიმწვანით დაბურული ტბის სანაპიროზე.

ისინი აღფრთოვანებული იყვნენ ჩვენთან, ხარაგაულში, გასულ ზაფხულს სტუმრობით და ცდილობდნენ, ათმაგად დაებრუნებინათ აქ განცდილი სიამოვნების საზღაური.

და ჩვენ, სტუმრები, ხარაგაულის თეატრის ხუთივე წევრი, თავს ისე ვგრძნობდით, როგორც საკუთარ მიწაზე, ახლობელთა და საყვარელ ადამიანთა გარემოცვაში...

... როცა ვასიკომ და ირინემ სპექტაკლი ლატვიური მიმართვებით დაასრულეს, სიხარულის ემოციას ცრემლი შეუერთდა. აკი განაცხადა კიდეც ოპერატორმა: არ ვიცი, როგორ ვიღებდი, თვალები არაერთგზის მქონდა ცრემლით ავსილი...

ფესტივალის ორგანიზატორმა და რეჟისორმა ინტა კალნინამ და ლიბმაჟის თეატრის დასის წევრებმა საოცარი ექსკურსიები მოგვიწყეს. მასპინძელთაგან ყოველ ნაბიჯზე ჩანდა საქართველოსა და ქართველი ხალხის დიდი სიყვარული.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე პურით დასაჩუქრების რიტუალმა. „-ღმერთმა მოგცეთ პურის ძალა!“ - გლოცავენ ლიმბაჟელები და გიწვდიან სიყვარულით პურს თაფლითა და ყველით...

* * *

ძვირფასო თეატრალებო!

გაზეთ „ახალი ხარაგაულის“ სარედაქციო კოლეგია მიესალმება ლიმბაჟის ფესტივალზე თქვენს წარმატებებს. დაე, კვლავ ბევრგან და ბევრჯერ წარმოგეჩინოთ ასე ლამაზად ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრისა და სრულიად ხარაგაულის ღირსება.

მრავალჟამიერ თქვენს ნიჭსა და შემოქმედებით უნარს!..

მერი გიორგიძე

კვლავ ვეწვევით. კვლავ გავიხარებთ...

წიგნის კითხვის ინტერესი უმცროსი სასკოლო ასაკიდანვე უნდა გამოიკვეთოს მოზარდში. ამ მტკიცე ბალავარს შემდეგ თვითონ დაადგამს ახალგაზრდა წიგნიერების დიდ შენობას და მას ცხოვრებაში წიგნზე უფრო ერთგული მეგობარი და მრჩეველი არვინ ეყოლება, წიგნს ვერავინ და ვერაფერი შეუცვლის...

ძალიან გავიხარე, როცა ჩვენი ეზოს (წერეთლის ქუჩა N17) ბავშვებს მახლობელ, ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის პატარა ხარაგაულის N2 განყოფილებაში (გამგე ქეთევან შარიქაძე) სტუმრობა შევთავაზე. ისინი აღტაცებაში მოიყვანა ჩემმა სურვილმა.

კულტურისა და წიგნიერების ამ პატარა კერას ძალიან დიდი მოვალეობა აკისრია ადგილობრივი მცხოვრებლებისა და წიგნით დაინტერესებულ სხვა პირთა ყოველდღიურ ყოფაში.

აღნიშნულ ბიბლიოთეკას მუშაობის, ადამიანებთან ურთიერთობის, საუკეთესო ტრადიციები აქვს. მოწმე ვარ იმისა, თუ რა მშვენიერ მხატვრულ ღონისძიებებს აწყობდა ხარაგაულის კულტურის სფეროს ამაგდარი ქალბატონი გულნარა (გულიკო) ჭარბაძე, როგორ აკითხავდა იგი შინ ახალი ჟურნალ - გაზეთებითა და საინტერესო წიგნებით ინვალიდებს, სარეცელს მიჯაჭვულ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს.

მახარებს, რომ ტრადიცია კვლავ შენარჩუნებულია, ტრადიცია კვლავ გრძელდება და ამ საპატიო მისიას უნარიანად განაგრძობს ცენტრალური ბიბლიოთეკის N2 განყოფილების საიმედო წინამძღოლი ქალბატონი ქეთევან შარიქაძე. მასთან საუბრის სულ მცირე მონაკვეთითაც დარწმუნდები, თუ როგორ უყვარს თავისი საქმე, როგორი ენთუზიაზმით ესწრაფვის, რომ მკითხველებს ინტერესი გაუძლიეროს, დროულად მიაწოდოს სასურველი ლიტერატურა. თუ მკითხველისათვის საჭირო წიგნი იმჯერად არ აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში, ქალბატონი ქეთევანი დაჰპირდება, რომ ამ წიგნით სულ მალე დაუკმაყოფილებს სურვილს.

ამჯერადაც დიდი სიხარულით შეგვეგება ქალბატონი ქეთევანი. წინასწარ ესაუბრა ანც გოგო-ბიჭებს გატანილი წიგნის აუცილებლად წაკითხვის, მისი მოვლა - პატრონობისა და დროულად დაბრუნების შესახებ. შეურჩია მათი ასაკის შესატყვისი წიგნები და დაჰპირდა, რომ წიგნების დაბრუნებისას აუცილებლად გაესაუბრებოდა ნაწარმოებებიდან მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ.

ელენე და ლაშა კიკნაძეებს, ნუცა იარაჯულს, ელენე წოწორიას, დემეტრე მაღლაფერიძეს ეს დღე არასდროს დაავიწყდებათ...

მეც, მათი შემხედვარე, იმ წუთებში თითქმის დავუბრუნდი ჩემი ბავშვობისა და მოსწავლეობის პერიოდს. წიგნისადმი უკიდეგანო სიყვარული, პირველ ყოვლისა, ჩამინერგა მშობელმა დედამ და შემდეგ, ჩემს მასწავლებლებთან ერთად, ეს სიყვარული გამიძლიერა თეთრაწყაროს სასოფლო ბიბლიოთეკის გამგემ, აწ განსვენებულმა ქალბატონმა **ეთერ ჯიქიამ.** (სამარადისო მშვიდობა მის წმინდა სულს!).

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თეთრაწყაროს კოლმეურნეობის კანტორის ერთი მყუდრო ოთახი, რომელშიც იმჯერად ბიბლიოთეკა იყო განთავსებული, ჩემს საიმედო ნავსაყუდლად მიმაჩნდა. იმ დღეებიდან წამოსული შუქი მუდამ თან დამყვება და უქრობად ანათებს ჩემს გზა - სავალს...

პატარა ხარაგაულის ბიბლიოთეკაში სტუმრობის ეს დღე გამორჩეული იყო ნუცა იარაჯულისათვის. მან ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა საყვარელი ბაბუის, ომარ გორგაძის, ბავშვებისადმი უკიდეგანო სიყვარულით ნასაზრდოები ახლახან გამოცემული ლექსების კრებული „იხარეთ, ცუგრუმელებო!“

* * *

ჩვენს ეზოში მოწყობილი მშვენიერი ფანჩატურის ქვეშ, მაგიდასთან, ბავშვები უზიარებენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს, უსწორებენ მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებს. 2 აგვისტოს ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნებით სარგებლობის ვადა იწურება.

-სიხარულით ვეწვევით ბიბლიოთეკას, საყვარელ დეიდა ქეთევანს, ისიც ღიმილით შეგვეგებება, ვუამბობთ წაკითხულის შთაბეჭდილებებს და კვლავ დავიხუნძლებით საინტერესო წიგნებით, - ამბობენ ნორჩი მკითხველები და მოუთმენლად ელოდებიან მორიგი სტუმრობის თარიღს.

მერი გიორგიძე

ბიუროს სხდომაზე შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში მოისმინეს

ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში მოისმინეს. საკითხი ამავე სამსახურის უფროსმა გიორგი ჭყოიძემ წარადგინა. მომხსენებლის ინფორმაციით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური საქმიანობას წარმართავს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის," „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების საფუძველზე. ასევე, თავის საქმიანობაში იყენებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიას. როგორც ჭყოიძე ამბობს, სამსახურის მიზანია მუნიციპალიტეტის მერიისა და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წინაშე არსებული რისკების დადგენა და მათი მართვის მეთოდების შემუშავება, შემოწმებული ობიექტების საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზების შესწავლა - ანალიზი და მათი თავიდან აცილების გზების განსაზღვრა.

მოხსენებით ბარათში საუბარი იყო 2018 წლიდან მიმდინარე წლის ივლისამდე შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე. მერიის წარმომადგენლის განმარტებით, 2018 წლის წლიური გეგმით საანგარიშო პერიოდში გათვალისწინებული იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამი ა(ა)იპ-ის და მერიის ერთი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტორული შემოწმება, ხოლო მიმდინარე წლის წლიური გეგმით, I და II კვარტალში გათვალისწინებული იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამი ა(ა)იპ-ისა და სსიპ „სოფელ ბორის საჯარო სკოლა - პანსიონის" შიდა აუდიტორული შემოწმება. მომხსენებელმა ისაუბრა ყველა იმ შენიშვნა-რეკომენდაციებსა და დარღვევებზე, რომლებიც შემოწმებისას იქნა ამა თუ იმ უწყებაში აღმოჩენილი.

სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმებების შედეგად ძირითადად გამოვლენილია ხარვეზები შესყიდვების პროცედურებთან, ასევე ხარჯვასთან და საშტატო განრიგებთან დაკავშირებით. გაცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი შესრულებულია, მაგრამ გარკვეული ხარვეზები კვლავ რჩება და შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური აქტიურად მუშაობს მათს აღმოსაფხვრელად.

უფრო ვრცლად დეპუტატები შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის შესახებ 5 აგვისტოს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე იმსჯელებენ.

თამარ მაღრაძე

დეპუტატებმა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში მოისმინეს

ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში მოისმინეს. საკითხი ამავე სამსახურის უფროსმა კახაბერ გოლუბიანმა წარადგინა. მისი ინფორმაციით, მერიის ადმინისტრაციული სამსახური ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კოდექსით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ," მერიისა და ადმინისტრაციული სამსახურის დებულებით და სხვა ადმინისტრაციული აქტებით. მომხსენებლის თქმით, მერიის საშტატო ნუსხა განსაზღვრულია 132 ერთეულით, საიდანაც დასაქმებულია 127, ვაკანსიაა - 5, შრომითი ხელშეკრულებით აყვანილია 17. ყველა მუშაკი დანიშნულია საკონკურსო - საატესტაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

როგორც გოლუბიანი განმარტავს, ადმინისტრაციული სამსახური დაყოფილია: საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის, იურიდიული, სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და წარმომადგენლებთან კოორდინირების განყოფილებებად, ასევე ადმინისტრაციულ სამსახურში არიან გაერთიანებული მერის თანაშემწეები.

მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა თითოეული განყოფილების საქმიანობის შესახებ, რის შემდეგაც ბიუროს წევრებმა საკუთარი პოზიციები და შენიშვნები დააფიქსირეს.

როგორ შეაფასებენ დეპუტატები მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიშს, ამის შესახებ ცნობილი 5 აგვისტოს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე გახდება.

თამარ მაღრაძე

ბოლო წლების განმავლობაში ნადაბურის ადმინისტრაციულ ერთეულში მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა

ნადაბურის ადმინისტრაციული ერთეული სოფელ ნადაბურსა და მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფელ გოლისს აერთიანებს. იგი ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული ადმინისტრაციული ერთეულია ხარაგაულში.

2014 წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, ნადაბურში ძამულის, ჭალისა და ქვრივიშვილების უბანში მგზავრთა მოსაცდელები მოეწყო.

2017 წელს სოფელში აშენდა ახალი საბავშვო ბაღი, რომელიც 25 აღსაზრდელზეა გათვლილი. დასაქმებულია 6 ადგილობრივი.

წლების განმავლობაში ნადაბურის მოსახლეობისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა ამორტიზებული ცენტრალური საავტომობილო გზა, რომლის კაპიტალური რეაბილიტაცია დაიწყო 2018 წელს და ამ დროისთვის 5,5 - კილომეტრიანი გზის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. პროექტი ითვალისწინებს: ცხაურების, სანიაღვრე არხების, მილხიდებისა და გვერდულების მოწყობას. კეთდება ასევე 12 - მეტრიანი გაბიონი მდინარე ძირულას ნაპირზე.

2018 წელს სოფლის ცენტრში, მდინარე ძირულაზე, აშენდა ნაპირსამაგრი საყრდენი კედელი, რომლის უქონლობაც ადიდებული მდინარისა და წყალმოვარდნების დროს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობას.

2019 წელს აშენდა სამი ახალი ხიდ - ბოგირი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ერთ ბონდის ხიდს ძამულის უბანში.

2019 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, ნაწილობრივ შემოიღობა სასაფლაოები სოფელ გოლისსა და ძამულის უბანში.

2019 წელს დაიწყო სოფელ ნადაბურისთვის მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება. კერძოდ, საჩხერე-ხარაგაულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციისთვის საპროექტო სამუშაოების ჩატარება. პროექტის მომზადების შემდეგ მუნიციპალური განვითარების ფონდი ტენდერს გზის მშენებლობის მიზნით გამოაცხადებს. საუბარია ლიჩი-ნადაბურის 12 - კილომეტრიანი მონაკვეთის კეთილმოწყობაზე, რომლის დასრულებაც 2020 წელს იგეგმება.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ნადაბურის ადმინისტრაციული ერთეულის მაღალმთიან სოფელ გოლისის ცენტრალურ გზას ბოლო 5 წლის განმავლობაში პერიოდულად უტარდება რეაბილიტაცია. სოფლის გზა საკმაოდ რთულ რელიეფზე მდებარეობს და იქ ბეტონის საფარის მოწყობა ვერ ხერხდება.

პენსიონერებს, შშმ პირებსა და სხვა ჯგუფებს 35 დასახელების მედიკამენტის შეძენა 1 ლარად შეეძლებათ

ქრონიკული დაავადების სამკურნალო მედიკამენტების პროგრამაში შესატანი ცვლილებების მიხედვით, პენსიონერებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და სხვა ჯგუფებს მედიკამენტების შეძენა ერთ ლარად შეეძლებათ. აღნიშნული იმ 35 დასახელების მედიკამენტზე გავრცელდება, რომლებსაც მოქალაქეები 6 ქრონიკული დაავადებისას მოიხმარენ. ესენია: გულსისხლძარღვთა, ფარისებრი ჯირკვლის, ფილტვის, დიაბეტის, ეპილეფსიის და პარკინსონის დაავადებები.

ლეღვანში „კარვების ბანაკი" მოეწყო

ლეღვანში ახალგაზრდულმა „კარვების ბანაკმა" სტარტი აიღო. ბანაკში ხარაგაულელი ახალგაზრდები ორ აგვისტომდე, ორ ეტაპად შეძლებენ დასვენებას. ბანაკის მიზანია ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, უკეთ გაიცნონ თანატოლები, გამოავლინონ თავიანთი ინტელექტუალური, შემოქმედებითი და ფიზიკური შესაძლებლობები.

განრიგში შედის სამჯერადი კვება, სპორტული, გასართობი, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები.

უსაფრთხოების მიზნით, ბანაკის ტერიტორიაზე მობილიზებული არიან სამართალდამცავები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა.

შეგახსენებთ, რომ პროექტი ახალგაზრდული „კარვების ბანაკი" სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის ორგანიზებით ხორციელდება.

ხარაგაულში სამაგიდო თამაშების ჯვირეული ჩატარდა

ხარაგაულის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, კინოთეატრის ფოიეში სამაგიდო თამაშების ჩემპიონატი ჩატარდა.

თამაშები ნარდის მოყვარულებით დაიწყო და მასში 22-მა მსურველმა მიიღო მონაწილეობა. პირველი ადგილის მფლობელი მერიის კულტურის სამსახურის თანამშრომელი დავით ჩადუნელი გახდა, ხოლო მეორე ადგილი საკრებულოს დეპუტატმა დავით კიკნაძემ მოიპოვა.

ასევე 22-მა მოხალისემ (11-მა წყვილმა) გამოთქვა სურვილი დომინოს ჩემპიონატში მონაწილეობისთვის. გამარჯვებული გახდნენ მამა-შვილი თენგიზ და ირაკლი კიკნაძეები, მეორე ადგილი კი პაატა ვეფხვაძისა და ალეკო ტაბატაძის წყვილმა დაიკავა.

სამაგიდო თამაშების კვირეული ჭადრაკის ჩემპიონატით დასრულდა, რომელშიც პირველი ადგილი გიორგი ღონღაძეს ხვდა წილად, ხოლო მეორე ადგილზე ირაკლი კიკნაძე გავიდა.

გამარჯვებულები სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

რა გაკეთდა წიფაში? - მაღალმთიანი სოფლების ინფრასტრუქტურა

მაღალმთიანი სტატუსის მქონე წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში ოთხი სოფელია (გოლათუბანი, გუდათუბანი, წიფა და ფონა) გაერთიანებული და ყველა აღნიშნული სტატუსით სარგებლობს.

2014-2015 წლებში წიფის თემის სოფლებში, სოფლის პროექტებითა და მოსახლეობის გადაწყვეტილებით, სარიტუალო სახლები მოეწყო.

2016 წელს სოფელ წიფაში 25 აღსაზრდელზე აშენდა ახალი საბავშვო ბაღი. დასაქმებულია 7 ადგილობრივი.

2017 წელს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ გოლათუბნის ცენტრალური გზის 1 500 - მეტრიან მონაკვეთს, რომელზეც გადაადგილება თითქმის შეუძლებელი იყო, როგორც დაბალი, ასევე მაღალი გამავლობის ავტომანქანებისთვის. აღნიშნული გზის 500 - მეტრიანი მონაკვეთი რეგიონული განვითარების ფონდიდან, ხოლო 1 000 - მეტრიანი- მთის განვითარების ფონდიდან დაფინანსდა.

2017 წელს კეთილმოეწყო ასევე წიფის სასოფლო გზები ორ მონაკვეთზე. საერთო ჯამში 2 200 მეტრამდე ამორტიზებულ გზაზე დაიგო ბეტონის საფარი.

2019 წელს სოფელ წიფაში გოლათუბანთან დამაკავშირებელი ახალი ხიდ - ბოგირი მოეწყო, რომლის მშენებლობაც სტიქიის ფონდიდან დაფინანსდა. ამავე ფონდიდან დაფინანსდა ასევე წიფის სადგურის უბანში მრავალბინიანი კორპუსის გადახურვის სამუშაოები.

2019 წელს მთის განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხით რეაბილიტაცია ჩაუტარდება გოლათუბანში სხვერის უბნისა და სადგურის უბნის გზებს. ჯამში 1 800 - მეტრიანი მონაკვეთის კეთილმოწყობაა დაგეგმილი. აღნიშნულ უბნებში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ ტენდერი უკვე გამოაცხადა.

წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის რაოდენობამ საგრძნობლად მოიმატა. ყოველივეზე დადებითად იმოქმედა მთის განვითარების პროგრამამ და ყველა იმ შეღავათმა, რითაც აღნიშნულ ერთეულში ოთხივე სოფლის მოსახლეობა სარგებლობს.

ეკა შავიძე

რამდენიმე ამბულატორიას რეაბილიტაცია ჩაუტარდება

ხარაგაულის სასოფლო ამბულატორიებს რეაბილიტაცია ჩაუტარდება. მუნიციპალიტეტის მერიამ პირველ ეტაპზე ოთხი სოფლის ამბულატორიის კეთილმოწყობისთვის ტენდერი უკვე გამოაცხადა. ფარცხნალის, წყალაფორეთის, ხიდრისა და ვახანის სასოფლო სამედიცინო დაწესებულებებში მოხდება სახურავების შეცვლა და სხვა სპეციალური სამუშაოები განხორციელდება.

ეკა შავიძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12